

Author: Christine Caldwell, Lucy Leighton

Title: Dance/Movement Therapy, Women's Rights, and Feminism: The First 50 Years

Journal: Am J Dance Ther (2016) 38:279–284

DOI: 10.1007/s10465-016-9230-4

Publisher: American Dance Therapy Association; Springer

Date of publication: October 7, 2016 (published online)

© American Dance Therapy Association 2016

A link to the original article: <https://link.springer.com/article/10.1007/s10465-016-9230-4>

ცეკვითი/მოძრაობითი თერაპია, ქალთა უფლებები და ფემინიზმი: პირველი 50 წელიწადი

ქრისტინ ქოლდუელი

ლიუსი ლეიტონი

ონლაინ პუბლიკაცია: 7 ოქტომბერი, 2016

ამერიკის ცეკვითი თერაპიის ასოციაცია 2016

აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია ერთ-ერთია იმ ექვსი სამეცნიერო ესედან, რომელსაც წინამდებარე ჟურნალი ამერიკის ცეკვითი თერაპიის ასოციაციის 50 წლის იუბილის აღსანიშნავად გვთავაზობს. წინამდებარე სტატია ქალთა უფლებებისა და ფემინისტური მოძრაობების პერსპექტივიდან მოგვითხრობს ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიის 50-წლიანი ისტორიის შესახებ. ცეკვითმა/მოძრაობითმა თერაპიამ მოახერხა, ფსიქოკონსულტირებაში პატრიარქალური მიკერძოებულობის ველი გაერღვიადა, ამასთან, წლების განმავლობაში კულტურული დისკურსისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. თუმცა, ამდარგში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ისტორიული ანალიზი ფემინიზმისა და ქალთა უფლებების გარშემო არსებული დისკურსების დაინტერსექციურობის ნაკლებობასა და სიმწირეზე მიუთითებს. როგორც არ უნდა შევეცადოთ, რომ ინტერსექციურობის ნაკლებობასა და არატოლერანტული პრაქტიკების არსებობაში მხოლოდ ქალთა და ფემინისტური მოძრაობები დავადანაშაულოთ, უნდა ითქვას, რომ ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიაც იგივე მახეში გაება. ავტორთა

მოსაზრებით, ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიის დარგს, მომდევნო 50 წლის მანძილზე, შეუძლია, უმთავრესად, აღიჭურვოს ისე, რომ სხეულზე ცენტრირებული პერსპექტივიდან შეიტანოს წვლილი აქტივიზმის, მულტიკულტურალიზმის და სოციალური სამართლიანობის გარშემო არსებული დისკურსების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები:

ცეკვითი/მოძრაობითი თერაპია, ფემინიზმი, სოციალური სამართლიანობა, მრავალფეროვნება, ქალთა უფლებები

კრისტინ ქოლდუელი Caldwell@naropa.edu

ლიუსი ლეიტონი lleighton@students.naropa.edu

ნაროპას უნივერსიტეტი, ბოულდერი, აშშ

ბოლო ორმოცდაათი წელი, კერძოდ შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით მდიდარი და ნაყოფიერი აღმოჩნდა ქალთა მოძრაობების, ფემინიზმისა და ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიისათვის (DMT/ცმთ). რაკი ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიის დარგში წარსულსა და აწმყოშიც კვლავინდებურად ქალები დომინირებენ, აღნიშნული სამი სოციალური ძალის ისტორიულმა კვეთამ, შესაძლებელია, ჩვენს პროფესიაში, რომელიც მომდევნო 50 წლისათვის იწყებს, საინტერესო მიგნებებამდე მიგვიყვანოს. ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიის ისტორიული განვითარებისა და ფემინისტური მოძრაობის რუკების დადრებით, მაგალითად, ნათელი ხდება, რომ ორივე მათგანი იბრძოდა სათანადო ყურადღებისა და ქმედუნარიანობის მოსაპოვებლად, რაკი მათ დანაკლისს განიცდიდა. აღნიშნული კარტოგრაფიული პროექტი როგორც ზეიმის, აგრეთვე თვითრეფლექსიის საბაბს იძლევა.

ცეკვითი/მოძრაობითი თერაპია, როგორც დარგი, შეერთებულ შტატებში, 1960-იანი წლების დასაწყისში, ქალების მიერ ჩაისახა და იშვა. 1942 წლისათვის ცმთ-ს პრაქტიკას შეერთებულ შტატებში, ჰოსპიტალურ პირობებში, უკვე მიმართავდნენ. თუმცა, ის პროფესიად - საკუთარი პროფესიული ორგანიზაციის დაფუძნების გზით - დიდწილად აღმოსავლეთ სანაპიროზე რამდენიმე ქალის გაერთიანებული

ძალისხმევისა და დასავლეთ სანაპიროდან სხვა რამდენიმე ქალის ცოდნისა და მხარდაჭერის ხარჯზე ჩამოყალიბდა (ცმთ-ს დარგის ისტორიის შესახებ იხ. Bunney, 2013; Schmais & White, 1996). მართალია, მეტისმეტი კადნიერება იქნებოდა ამ ქალების, ან ნებისმიერი იმ ქალის განსხვავებულ იდენტობებზე დავა, რომელთაც აღნიშნული დარგი განავითარეს, თუმცა სამართლიანი იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ცმთ-ს დიდწილად სწორება ჰქონდა ჰეტეროსექსუალ, სისგენდერ, ჯანმრთელი სხეულის მქონე, თეთრკანიან, საშუალო კლასის ადამიანებზე, რომლებიც თავს ქალად აიდენტიფიცირებდნენ. ბედის ირონიით, ვიდრე კრიტიკა მთლიანად ტრადიციული ფსიქოთერაპიისაკენ არის მიმართული, რაკი მას ტრადიციულად სწორება ჰქონდა მკვდარ, ჰეტეროსექსუალ, თეთრკანიან კაცებზე, და, შესაბამისად, ფსიქოთერაპიის სფეროს უბიძგებდა პატრიარქალური და ზოგჯერ მიზოგინური პერსპექტივიდან დაენახა თერაპიული მკურნალობის გზები, ცეკვით/მოძრაობით თერაპიას აქვს პოტენციალი, გაარღვიოს ეს ნაგულისხმები, უპირობო პატრიარქალური მიკერძოებულობის ველი. რაკი ცეკვითი/მოძრაობითი თერაპია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამომსახველობით მოძრაობასა და შემოქმედებითობას, ის შეგვიძლია, მაგალითად, განვიხილოთ როგორც მეთოდი, რომელიც ქალებზე ცენტრირებული პერსპექტივიდან ცდილობს გაამდიდროს ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ აღმოცენდება თერაპიული ცვლილება. ისევ და ისევ, ბედის ირონიით, ჩვენს დარგს თვითგამორკვევის მხრივ - თუ რას ნიშნავს იყო ქალებით დომინირებული დარგი - მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს. განსაკუთრებით ბუნდოვანია, თუ რას ვანიჭებთ პრივილეგიას და რის მარგინალიზებას ვენევით ცმთ თეორიასა და პრაქტიკაში.

ცეკვით თერაპიის ამერიკული ჟურნალის პუბლიკაციებს თვალს თუ გადავავლებთ (AJDT), რომელიც 1970-იანი წლებიდან გამოიცემა, დავინახავთ დარგს, რომელიც დაფუძნებულია პირველი 10 წლის მანძილზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა, რათა დოკუმენტურად აესახა საკუთარი წარმოშობა და განესაზღვრა საკუთარი იდენტობა. ჟურნალის არსებობის პირველი წლის განმავლობაში თითქმის უკლებლივ ყველა გამოცემაში შედიოდა ინტერვიუ დარგის რომელიმე დამფუძნებელთან ან რომელიმე პიონერთან ან იბეჭდებოდა სტატია მათი საქმიანობის შესახებ. დასაფასებელია, რომ საწყის ეტაპზე ცმთ აგრეთვე საუბრობდა კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დოკუმენტურად ასახავდა რა, თუ როგორ უნდა ემუშავათ სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანთან. ასევე ბევრი იწერებოდა იმის თაობაზე, თუ რა გავლენა ჰქონდა ცეკვით/მოძრაობით თერაპიაზე არადასავლური ცეკვისა და სულიერი იარების მოშუშების ტრადიციებს.

ჩვენს ჟურნალში აღნიშნული ტენდენცია დღემდე გრძელდება და აუდიტორიას მდიდარ მულტიკულტურულ და ინტერნაციონალურ პერსპექტივებს ვთავაზობთ.

თუმცა ფემინიზმისა და ქალთა უფლებების შესახებ დისკურსების არარსებობა აშკარად თვალშისაცემია. ჟურნალში იბეჭდება ნაშრომები, რომელიც ქალებს სწორედ იმ პოპულაციად განიხილავს, რომელსაც ცმთ მიეწოდება. მათ შორის არიან: ინცესტგადატანილი ქალები (Ambra, 1995), ცმთ ქალთა საპყრობილეში (Seibel, 2008), კვებითი აშლილობების მქონე ქალები (Krantz, 1999), ცმთ ნაცემ ქალებთან (Leventhal & Chang, 1991), სიმსივნის დიაგნოზის მქონე ქალები (Ginsburgs & Goodill, 2009), ცმთ ლათინოამერიკული წარმოშობის იმიგრანტ დედებთან (Posada de Valenzuela, 2014), და ქალთა გაძლიერება (Barkai, 2016). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ავტორები და ჟურნალის რედაქტორები ვერიდებოდით ისეთ მოძრაობაში ჩართვას, მათ შორის ქალთა მოძრაობაშიც, რომელიც გარეშე თვალს შეიძლება აღექვა როგორც პოლიტიკურად ორიენტირებული მოძრაობები. შესაძლებელია, რომ საქმე გვქონდეს ინტერნალიზებულ სექსიზმთან? იქნებ ჩვენ, ქალებით დომინირებული დარგი, ძალზე თავაზიანად ვიქცევით? ჟურნალში აქამდე ერთი სტატიაც არ გამოქვეყნებულა, რომელიც ქალთა უფლებებსა თუ ფემინიზმს პირდაპირ ეხება. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შესანიშნავ გამონაკლისს კონფერენციებზე (Capello, 2012), ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, და 2008 წელს „მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების საბჭოს“ ჩამოყალიბებას, ამერიკის ცეკვითი თერაპიის ასოციაციმ სულ ახლახანს დაიწყო რასის, კლასის თუ ლგბტქ საკითხების არსებითი გათვალისწინება. თანაც, არ უნდა დავივიწყოთ არსებული რეალობა, რომელშიც აღნიშნული პოპულაციები დომინანტურ კულტურას ხშირად სწორედ სხეულის დონეზე არ ემორჩილებიან და ხშირად აღნიშნავენ, რომ მათი სხეულის მოძრაობა სოციალური კონტექსტების მიხედვით იცვლება (Caldwell, 2013; Thomas, 2015).

მხოლოდ იშვიათად, ზოგიერთი ავტორი თუ შეაბიჯებს აღნიშნულ ტერიტორიაზე, რათა გენდერის კომუნიკაციაში კონსტრუირება იკვლიოს. ისინი ციტირებენ ფემინისტ თეორეტიკოსებს, რომ სხეულის სოციალურ კონსტრუირებაზე იდავონ, და სწავლობენ მოძრაობის სტილის სქესობრივ განსხვავებებს. 2010 წელს, ამერიკის ცეკვითი თერაპიის ასოციაციის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ სტატიაში ავტორები განიხილავდნენ, თუ რა გამოცდილებები აქვთ კაცებს როგორც ცეკვითი/მოძრაობითი თერაპიის კლიენტებსა და თერაპევტებს, რა სირთულეები და მოწყვლადობები ახლავს აღნიშნულ პროფესიაში კაცების ყოფნას, და აღნიშნავდნენ, რომ ჩვენს სფეროში

კაცები წინარერწმენასა და გაუგებრობას აწყდებიან (Capello, 2011). შეერთებულ შტატებში პატრიარქატთან დაკავშირებული ერთადერთი ალუზია, რომელიც წინამდებარე სტატიის ავტორებმა, დაარსებიდან დღემდე, ჟურნალის გამოცემებში იზოვეს, ეკუთვნოდა 2010 წლის კონფერენციის პანელზე ერთ-ერთ გამომსვლელ კაც ავტორს, რომელიც აღნიშნავდა, რომ ცმთ-ს აღმოცენება ქალთა მოძრაობის აღმასვლას დაემთხვა და საუბრობდა იმ სქესობრივი და გენდერული როლების ცვლილებაზე, რომელიც თან ახლდა ამ უკანსკნელს.

როდესაც ქალთა მოძრაობების პერსპექტივებიდან ვიწყებთ საკუთარი ისტორიული ფესვების გამოკვლევას, იბადება კითხვა - რა ეტაპზე იყო მაშინ ფსიქოთერაპიის სფერო? უდავოა, ზოგიერთ თეორეტიკოსსა და კლინიცისტს სოციალური ცნობიერება მგრძნობელობა ჰქონდა - რასაც ადასტურებს ვიგოტსკის მარქსიზმი (Vygotsky, 2001), რეიხის დამოკიდებულება რეპრესიული საზოგადოებების მიმართ (Boadella, 1973) და ფემინისტური თერაპიის განვითარება, რომელსაც ესმოდა, რომ პირადი პოლიტიკურია. შესაძლოა, ცეკვითი/მოძრაობითი თერაპევტები წინდანინვე იაზრებდნენ ქალთა საკითხების მნიშვნელობას, თუმცა ამაზე ფორმალურად არასდროს საუბრობდნენ. აქვე, ცნობიერება და აქტივიზმი განსხვავებული ცნებებია. ტრადიციულად, ფსიქოთერაპიის დარგების უმრავლესობა თავს არიდებდა იმას, რაც შეიძლება შეერაცხათ პოლიტიკურ აქტივიზმად თერაპიაში, აღიქმებოდა რა, როგორც მომაბზრებელი, თერაპევტის მიერ კლიენტისათვის ღირებულებების თავს მოხვევა და რაღაც, რაც უცხოა ფსიქოთერაპიული მკურნალობის ინტრაფსიქიკური და ინტერპერსონალური ბუნებისათვის. მხოლოდ რამდენიმე ათწლეულია, რაც ბევრმა თერაპევტმა გაბედა ფსიქოთერაპიული საკითხების ისეთი ძალადობრივი და მჩაგვრელი სისტემების პერსპექტივიდან დანახვა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესება, სტრესი, ტრავმა და შეარყიოს ფსიქიკური ჯანმრთელობა. როგორც ბავშვებზე არასათანადო ზრუნვამ შეიძლება გამოიწვიოს არაუსაფრთხო მიჯაჭვულობა, ისე სოციალურმა სისტემებმა, როგორიცაა სკოლა, ეკლესია, სხვადასხვა ორგანიზაცია და მთავრობა, შეიძლება, გამოიწვიონ ტრავმა და მუდმივი იარები.

ძალადობისა და უგულებელყოფის ამ ორივე წყაროს ისეთი თერაპევტის ყურადღება და ჩართულობა სჭირდება, რომელიც განჭვრეტს არა მხოლოდ კლიენტის ინტრაფსიქიკური ძალების, არამედ სოციალური ძალების მოქმედებასაც; ძალების, რომელთაც შეუძლიათ ადამიანს, ამ შემთხვევაში კლიენტს, მიანიჭონ პრივილეგია და/ან დაჩაგრონ, შეზღუდონ და იძალადონ მასზე.

ბოლო 50 წლის მანძილზე ქალთა მოძრაობა და მეორე ტალღის ფემინიზმი გაფართოვდა და მიზნად დაისახა შეერთებულ შტატებში სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის აღმოფხვრა, რომელსაც ქალები განიცდიან. მეორე ტალღის ფემინიზმი ფემინიზმის პირველ ტალღას მოჰყვა, რომელიც 1848 წელს ქალების საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლით დაიწყო. მიიჩნევა, რომ მეორე ტალღა 1960-იან წლებში 1950-ანებში ქალების შემბოჟავ სოციალურ, პოლიტიკურ და პროფესიულ როლებზე საპასუხოდ აზვირთდა. მოძრაობამ ერთმნიშვნელოვნად შეცვალა მრავალი ქალის ცხოვრება და შტატების პოლიტიკა. როგორც კატალიზატორმა ისეთი პოლიტიკური ცვლილებებისა, როგორიცაა დადგენილება თანასწორი ანაზღაურების შესახებ (1963) ან შესწორება კანონპროექტში ქალებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭების თაობაზე (1979), მოძრაობამ მრავალი პოლიტიკური ცვლილება მოიტანა, რაც მიზნად ისახავდა ქალთა საყოველთაო თანასწორობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას სათავეში ედგნენ ისეთი ფემინისტური პოლიტიკური ორგანიზაციები, როგორიცაა ქალთა ეროვნული ორგანიზაცია (NOW) (დაარსდა 1966 წელს), ქალთა ეროვნული პოლიტიკური ფრაქცია (დაარსდა 1971 წელს) და ქალთა პროფკავშირების კოალიცია (დაარსდა 1973 წელს). ამასთან ქვეყნის მასშტაბით უამრავი სოციალური ფემინისტური ჯგუფი აღმოცენდა და პროტესტის ტალღამ უნივერსიტეტების კამპუსებიც მოიცვა. 1970 წელს ოციათასზე მეტი ქალი გამოვიდა ნიუ იორკში, რათა სოციალური და პოლიტიკური უფლებების და სამუშაო ადგილზე თანაბარი შესაძლებლობების სიმწირე გაეპროტესტებინა (Bazelon, 2006).

ფემინიზმმა მრავალი ქალის ცხოვრებაში შეიტანა საფუძვლიანი და აუცილებელი ცვლილებები. თუმცა მეინსტრიმული ქალთა მოძრაობის სახელზე არაერთი შეცდომაა, თუ გავითვალისწინებთ, ისტორიულად, მათი რიტორიკიდან ფერადკანიანი ქალების, ლესბოსელების, ბისექსუალების, ტრანსგენდერი ქალებისა და ლატაკი ქალების ექსკლუზიას. როდესაც შეერთებულ შტატებში ქალთა უფლებების მოძრაობასა და მეორე ტალღის ფემინიზმს განვიხილავთ, გონებაში ჩნდება ცნობილი, სისგენდერი თეთრკანიანი ქალების სახელები, როგორიცაა გლორია სტაინემი და ბეტი ფრიდანი. მართლაც, 1963 წელს, იმ დროისათვის, როდესაც მისმა ნაშრომმა - „ქალურობის გამოცანა“ დღის შუქი იხილა, ბეტი ფრიდანს მოძრაობის „დედად“ მოიხსენიებდნენ და მიაჩნდათ, რომ სწორედ მისმა წიგნმა ჩაუყარა მოძრაობას საფუძველი და ქვეყნის მასშტაბით (თეთრკანიან) ქალთა განმათავისუფლებელი მრავალი ჯგუფის აღმოცენების კატალიზატად

იქცა (Kaplan, n.d. პარა. 1). „ქალურობის საიდუმლომ“ - და, შესაბამისად, ქალთა მოძრაობამ - რაკი დაფუძნებული იყო საშუალო კლასის დიასახლისზე, სინამდვილეში ყურადღების მიღმა დატოვა შტატებში ქალთა უმრავლესობის ისტორიები. პრობლემები, რომელსაც მხოლოდ თეთრკანიანი, მაღალი/საშუალო კლასის ქალები განიცდიდნენ, მოინიშნა როგორც უნივერსალური და, შესაბამისად, მოძრაობამ რასისტული და კლასისტური ხასიათი შეიძინა. მეინსტრიმული ქალთა მოძრაობა აგრეთვე იყო დაუფარავად ჰომოფობიური და საჯაროდ მოუწოდებდა ქალთა ეროვნულ ორგანიზაციას და სხვა ჯგუფებს, უარი ეთქვათ ლესბოსელებთან ნებისმიერ კავშირზე, რადგან მიაჩნდათ, რომ ამით მოძრაობის ლეგიტიმურობას ჩრდილი მიადგებოდა. ბეტი ფრიდანმა, როგორც ცნობილია, მოძრაობის მიმართ ლესბოსელების მუქარას „ლავანდის მუქარა“ უწოდა (Fetters, 2013, პარა. 20).

საგულდაგულოდ შერჩეული და ხშირად პრივილეგირებული ქალების გამოცდილებებზე ქალთა მოძრაობის და მეორე ტალღის ფემინიზმის სწორებამ უდავოდ იქონია გავლენა მოძრაობის პოლიტიკურ კლიმატზე, რამაც განაპირობა პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან ფერადკანიანი ქალების, ლესბოსელების, ბისექსუალების და ტრანსი ქალების შემდგომი ექსკლუზია. ფერადკანიანი ქალების გარკვეული ნაწილი, რომელიც მთლიანად გარიყულად გრძნობდა თავს, თავის მხრივ, მტკიცედ აკრიტიკებდა ქალთა მოძრაობასა და ფემინიზმს. შესაბამისად, სახელგანთქმული აფრიკელ-ამერიკელი ავტორი და აქტივისტი, ბელ ჰუკსი მოძრაობას მოუწოდა გაეთვალისწინებინა რასის, კლასისა და გენდერის ინტერსექციურობა. მასვე ეკუთვნის სიტყვები: „თეთრკანიანი ფემინისტების შემოქმედება რასიზმის ტყვეობაშია; ის თეთრკანიანების უპირატესობას განამტკიცებს და ძირს უთხრის ეთნიკურ და რასობრივ საზღვრებს მიღმა ქალების პოლიტიკური შეკავშირების შესაძლებლობას“ (hooks, 1984, გვ. 3).

ფემინიზმი და ქალთა მოძრაობა ისეთი საკითხების გარშემო ტრიალებს, როგორიცაა მუშახელს შორის ქალების თანასწორობით უზრუნველყოფა, რეპროდუქციულ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ძალადობისა და ჩაგვრისაგან თავისუფლება. ცმთ-ს დარგი - თავისი არსით დარგი, სადაც ქალებს შეუძლიათ განვითარდნენ და ახალი მწვერვალები დაიპყრონ - ამ თვალსაზრისით, ქალთა ისეთ მოძრაობას წარმოადგენს, რომელიც იმდენად სამართლიანობისათვის არ იბრძვის, რამდენადაც საკუთარ თავში ახორციელებს მას. კონფერენციებზე, ასოციაციისა და სხვა პროფესიულ შეხვედრებზე ქალებზეცენტრირებულ კულტურას იწონებენ და მიესალმებიან. თუმცა, ეს დარგი, შესაძლოა, იგივე ისტორიულ მახეშია გაბმული, რომელშიც ფემინისტები და

ქალთა უფლებების აქტივისტები გაებნენ. მაგალითად, იმიტომ, რომ უპირობოდ იღებენ თეთრკანიანი, სისგენდერი, ჰეტეროსექსუალი, მდებარეობითი და საშუალო კლასისის წარმოდგენებს სამყაროს შესახებ და არ იკვლევენ, თუ რა გავლენა აქვს ამას კაცებზე, ფერადკანიან ადამიანებზე, გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებზე და ა.შ. ეს თანაბრად ეხება იმას, თუ როგორ იყენებენ ცმთ-ს კლინიკურ პრაქტიკაში და იმას, თუ როგორ ვეპყრობით ერთმანეთს.

შეგვიძლია განვავრცოთ გულახდილი საუბრები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება დღესდღეობით ცმთ აქტივიზმი და როგორი შეიძლება იყოს ის მომავალში. ჩვენს გარშემო, სხვა თერაპიულ სფეროებშიც იმსხვრევა წარმოდგენა, რომ თერაპევტები არ უნდა მონაწილეობდნენ სოციალურ საკითხებსა თუ პოლიტიკურ ადვოკატირებაში. ასეთია ამერიკის კონსულტირების ასოციაცია და ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია, რომლებიც სპეციალიზებულ კონფერენციებს მართავენ რასის, ეთნიკურობის და ლგბტქ საკითხებთან დაკავშირებით, გამოსცემენ ჟურნალებს, რომელიც სოციალურ სამართლიანობას ეძღვნება და ერთვებიან სოციალური სამართლიანობის პოლიტიკის შექმნაში სახელმწიფო და ეროვნულ დონეებზე. ჩვენს შემთხვევაში, შეგვიძლია მოძრავი სხეულის და შემოქმედებითი პროცესის შესახებ ჩვენი ცოდნა გამოვიყენოთ ბერკეტად, რათა სოციალურ დისკურსსა და პოლიტიკაში უფრო მეტად გავუწიოთ ადვოკატირება „სხეულთან დაკავშირებულ სამართლიანობას“. სხეულთან დაკავშირებული სამართლიანობა გვეხმარება დავინახოთ, თუ როგორ „კნინდება“ სხეული, როდესაც მას გონებას ადარებენ და რომ შეცდომაა, როდესაც მათ განცალკევებულად განვიხილავთ. მაგრამ იგი აგრეთვე გულისხმობს ისეთი სხეულების უფლებების დაცვას, რომლებიც არადომინანტურები, არაკონფორმულები არიან. სხეულების, რომელთაც საზოგადოებამ ნაკლოვანის იარღიყი ჩამოჰკიდა და იქნებ ამაში პოტენციურად ჩვენი ბრალეულობაც არის - იმათი, ვინც თვალს ვარიდებთ, არ ვუღრმავდებით და მუდმივად არ ვიღწვით იმისათვის, რომ გავთავისუფლდეთ.

ამიტომაც, პირველ ყოვლისა, შინაგან ხმას უნდა მივუგდოთ ყური, ვისაუბროთ და მოვუსმინოთ ერთმანეთს და ვიმოძრაოთ ერთად. განსაკუთრებით აუცილებელია, დავუპირისპირდეთ ჩვენს ეიბლიზმთან დაკავშირებულ წარმოდგენებს - როგორ შეიძლება, ვიყიდებოდეთ ჯანსაღი სხეულის რეპრესიულ სოციალურ კონსტრუქციებზე, მაგალითად, როდესაც ისეთ მოძრაობას ვუჭერთ მხარს, რომელზეც მხოლოდ უნარიანი სხეულების მქონე ადამიანებს მუწვდებათ ხელი და ვაცხადებთ, რომ მოძრაობის ასეთი რეპერტუარი ჯანსაღია. შეგვიძლია,

გადავსინჯოთ ჩვენი კლინიკური დაშვებები არამოდრავი, მოხრილი, ან აგრესიული, ან დაძაბული სხეულების შესახებ. სოციალური თეორიის პერსპექტივიდან სხეულმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ ისეთი ფორმა, რომელიც საზოგადოების მიერაა სანქცირებული. შეგვიძლია აგრეთვე მოვუსმინოთ მარგინალიზებულ და არადომინანტ ხმებს ჩვენს გარშემო და ახალი სული შთავბეროთ როგორც ჩვენს თეორიას, ისე პრაქტიკას, რომ მათ მრავალფეროვნება და ადამიანური გამოცდილების უნივერსალურობა ასახონ. როგორც პროფესია, რომელიც მომდევნო 50 წლის ათვლას იწყებს, მზად უნდა ვიყოთ ამ ღია და რთული დისკუსიებისათვის, რომ მათთან ერთად შევძლოთ შემოქმედებითი ცეკვის შესრულება.

სტატია ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობაშია

ინტერესთა კონფლიქტი - ქრისტინ ქოლდუელი აცხადებს, რომ ადგილი არ აქვს ინტერესთა კონფლიქტს.

ლიუსი ლეიტონი აცხადებს, რომ ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს.

ეთიკის კომიტეტის ნებართვა - წინამდებარე სტატია არ მოიცავს ავტორთა მიერ ჩატარებულ კვლევებს, რომელშიც ადამიანები ან ცხოველები მონაწილეობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

Ambra, L. (1995). Approaches used in dance/movement therapy with adult women incest survivors. *American Journal of Dance Therapy*, 17(1), 15–24.

Barkai, Y. (2016). Hair as a resource for women's empowerment in Dance/movement therapy. *American Journal of Dance Therapy*, 38(1), 81–97.

Bazon, E. (2006). The mother of feminism. *The New York Times*. Retrieved from http://www.ny-times.com/2006/12/31/magazine/31friedan.t.html?_r=0

Caldwell, C. (2013). Diversity issues in movement observation and assessment. *American Journal of Dance Therapy*, 35(2), 183–200.

Capello, P. (2011). Men in dance/movement therapy: The 2010 ADTA international panel. *American Journal of Dance Therapy*, 33(1), 18–27.

Capello, P. (2012). Cultural identity and collaboration in dance/movement therapy: The 2001 ADTA international panel. *American Journal of Dance Therapy*, 34(1), 20–26.

Fetters, A. (2013). Four big problems with “The Feminine Mystique.” *The Atlantic*. Retrieved

from <http://www.theatlantic.com/sexes/archive/2013/02/4-big-problems-with-the-feminine-mystique/273069/>

Friedan, B. (1963). *The feminine mystique*. New York, NY: W.W. Norton.

Friedan, B. (n.d.). In *Encyclopedia Jewish women's archive*. Retrieved from <http://jwa.org/encyclopedia/article/friedan-betty>

Ginsburgs, V., & Goodill, S. (2009). A Dance/movement therapy clinical model for women with gynecologic cancer undergoing high dose rate brachytherapy. *American Journal of Dance Therapy*, 31(2), 136–158.

hooks, b. (1984). *Feminist theory: From margin to center*. Brooklyn, NY: South End Press.

Krantz, A. (1999). Growing into her body: Dance/movement therapy for women with eating disorders. *American Journal of Dance Therapy*, 21(2), 81–103.

Leventhal, F., & Chang, M. (1991). Dance/movement therapy with battered women: A paradigm of action. *American Journal of Dance Therapy*, 13(2), 131–145.

Posada de Valenzuela, M. (2014). Dancing with mothers: A school-based dance/movement therapy group for Hispanic immigrant mothers. *American Journal of Dance Therapy*, 36(1), 92–112.

Schmais, C., & White, E. Q. (1996). ADTA: Where, when, and how it all began. *American Journal of Dance Therapy*, 18(1), 5–20.

Seibel, J. (2008). Behind the gates: Dance/movement therapy in a women's prison. *American Journal of Dance Therapy*, 30(2), 106–109.

Thomas, E. (2015). The dance of cultural identity: Exploring race and gender with adolescent girls. *American Journal of Dance Therapy*, 37(2), 176–196.

Vygotsky, L. (2001). Interaction between learning and development. In M. Gauvain & M. Cole (Eds.), *Readings on the development of children*. New York: Worth Publishers.

ქრისტინ ქოლდუელს მოპოვებული აქვს დოქტორის ხარისხი, აქვს ასევე BC-DMT, LPC, NCC, ACS (მთარგმნელის შენიშვნა: კვალიფიკაციის დამადასტურებელი მანდატები სხვადასხვა ორგანიზაციისგან). ის არის სომატური კონსულტირების პროგრამის დამფუძნებელი და პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი ნაროპას უნივერსიტეტში, სადაც ასწავლის სომატურ კონსულტირებას, კლინიკურ ნეირომეცნიერებას, კვლევასა და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი ნაშრომი, „მოდრავი ციკლი“, ფოკუსირდება ბუნებრივ თამაშზე, ადრეულ ასაკში განცდილ ფიზიკურ შთაბეჭდილებებზე, მოძრაობის უწყვეტ, თანმიმდევრულ პროცესებზე, შესაძლებლობებზე, რომელიც ადიქციას ახლავს თან, ასევე სხეულთან დაკავშირებული ავტორიტეტული ცოდნისადმი ნდობაზე. დოქტორი ქოლდუელი ასწავლიდა მერილენდის უნივერსიტეტში, ჯორჯ ვოშინგტონის უნივერსიტეტში, კონკორდიაში, სეულის ქალთა უნივერსიტეტში, საუსვესტერნ კოლეჯში და სანტა ბარბარას მაგისტრატურის ინსტიტუტში. ის ატარებს ტრენინგებს, ასწავლის და ლექციებს კითხულობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დოქტორ ქოლდუელს გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სტატია და თავი.მის ნაშრომებს შორისაა „ჩვენი სხეულების დაბრუნება“ და „კავშირზე გასვლა“.

ლიუსი ლეიტონი, იკვლევს რა სხეულებრივ ფსიქოთერაპიასა და ცეკვით მოძრაობას, ამჟამად არის სომატური კონსულტირების პროგრამის მაგისტრობის კადიდატი ნაროპას უნივერსიტეტში. ნაროპაში სწავლის დანწყებამდე, ის კვლევითი სტიპენდიით იმყოფებოდა გერმანიაში, ჰამბურგში, სადაც მუშაობდა და აქვეყნებდა სტატიებს ნეირომეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ლიუსის აგრეთვე უმუშავია ნიუ იორკში სხეულებრივი ფსიქოთერაპიის საერთაშორისო ჟურნალისათვის. მას როგორც მკვლევარს აინტერესებს, თუ როგორ ზემოქმედებს სისტემური ჩაგვრა განსხეულებაზე. ლიუსი ფლობს ბაკალავრის ხარისხს ფსიქოლოგიასა და გერმანისტიკაში სმიტის კოლეჯიდან. ის ცხოვრობს დენვერში თავის ცოლთან, ერინთან ერთად.